პროექტი

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

საქართველოს ეროვნული ბანკის 2008 წლის ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელ დამოუკიდებელ აუდიტორთა და მომავალი თაობების ფონდისა და სტაბილური განვითარების ფონდის ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელ დამოუკიდებელ აუდიტორთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პირველი მუხლის მე–11 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტების და საფინანსო–საბიუჯეტო კომიტეტის წერილის (N12964/4-3 25.09.08.) გათვალისწინებით დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის 2008 წლის ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელ დამოუკიდებელ აუდიტორთა და მომავალი თაობების ფონდისა და სტაბილური განვითარების ფონდის ანგარიშგების აუდიტის განმახორცილებელ დამოუკიდებელ აუდიტორთა შერჩევის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ მელიქიშვილი

ლაშა თორდია

ბეჟან (ზურაბ) ბუცხრიკიძე

ნიკოლოზ ლალიაშვილი

ელდარ კვერნაძე

პავლე კუბლაშვილი

დავით ამაღლობელი.

2. საკონკურსო კომისიამ შეიმუშაოს კომისიის დებულება და დასამტკიცებლად წარუდგინოს პარლამენტის ბიუროს.

3. საკონკურსო კომისიამ საქართველოს პარლამენტის სახელით გამოაცხადოს კონკურსი აუდიტის ჩატარების შესახებ, შეიმუშაოს საკონკურსო პირობები, მოთხოვნები და წესები.

4. საკონკურსო კომისიამ საქართველოს პარლამენტს წარმოუდგინოს კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი აუდიტორული ფირმა არა უგვიანეს 10 დეკემბრისა.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე *დავით ბაქრაძე*

თბილისი,

2008 წლის — ოქტომბერი.

N